Capalac PU-Härter

დანამატი ალკიდური ფისის ლაქებისთვის, შრობის დასაჩქარებლად
და ქიმიური / მექანიკური დატვირთვის უნარის გასაუმჯობესებლად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	გამოდგება ყველა ლაქისთვის ალკიდური ფისის ბაზაზე, წყლით ემულგირებული ალკიდური ფისის ლაქების გარდა. ლაქის მოცულობის 5-15%-იანი დანამატი მყარი ზედაპირებისთვის. სპეციალურად Capalac SolidGold-ის შრობის პროცესის დამაჩქარებელ და Capalac Ef-fektLack Hochglanz-Buntlack-ისა და Seidenmatt-Buntlack-ის (ფერებში:RAL 9006 და 9007) გამამყარებელ რეაგენტად.
თვისებები	■ აჩქარებს შრობის პროცესს დაახლ. 40%-ით ■ აუმჯობესებს ქიმიური და მექანიკური დატვირთვების მიმართ მედეგობის
საღებავის ბაზა	იზოციანატი
შეფუთვა	500 მლ, 1,0 ლ.
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას. შეინახეთ მჭიდროდ დახურულ მდგომარეობაში.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლ. 0,98 გ/სმ^3
შენიშვნა	მასალა არის უფერული, და დამატების მოცულობის შესაბამისად ამცირებს დაფარვის უნარს და სიბლანტეს. აბრეშუმისებრი-მქრქალი და აბრეშუმისებრი-მბზინვარე ლაქების შემთხვევაში ოდნავ იზრდება მბზინვარების ხარისხი. პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ ქარხნული მოხმარებისთვის!

გამოყენება

ზედაპირის მომზადება	ფუნჯით ან გორგოლაჭით დატანისთვის: დაჩქარების და გამყარების სასურველი ხარისხის შესაბამისად, ლაქის მოცულობის 5-10% საფუძვლიანად გაურიეთ აკრილის ფისის ლაქში. მიფრქვევით დატანისთვის: მოცულობის 15%. ყურადღება: არავითარ შემთხვევაში არ გაურიოთ 15%-ზე მეტი! Capalac Dickchichtlack-ში არ გაურიოთ 5%-ზე მეტი!
გამოყენების დრო	+20 °C-ზე პროდუქტი გამოყენებისათვის ვარგისია 8 საათის განმავლობაში. ყურადღება: ვარგისიანობის გასვლა ვიზუალურად არ შეიმჩნევა!
შრობა/ შრობის დრო	შრობის დაჩქარება 20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში. შრობის დრო მცირდება ქვემოთ მოყვანილი ვადით, დამატებული მოცულობის და თითოეული პროდუქტისთვის დამახასიათებელი შრობის დროის გათვალისწინებით: მოცულობის 5%: - დაახლ. 20%-ით მოცულობის 10%: - დაახლ. 30%-ით მოცულობის 15%: - დაახლ. 40%-ით

CAPAROL

შენიშვნები

ყურადღება	მარტივად აალებადი, ცეცხლსაშიში. გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი. იწვევს კანის გაღიზიანებას. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. იწვევს თვალის მძიმე გაღიზიანებას. ჯანმრთელობისთვის საშიშია ჩასუნთქვისას. იწვევს სასუნთქი გზების გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს თავბრუსხვევა ან ძილიანობა. განმეორებითმა ან ხანგრძლივმა ზეგავლენამ შესაძლოა გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება. ხშირი შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა. მოარიდეთ ბავშვებს. მიფრქვევის დროს არ შეისუნთქოთ. მოარიდეთ კანზე, თვალში ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოიყენეთ მხოლოდ, კარგად ვენტილირებულ შენობებში. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მილებსა თუ ნიადაგში მოხვედრა. თვალთან კონტაქტისას: გამოიბანეთ თვალები წყლით, შეძლებისდაგვარად ამოიღეთ საკონტაქტო ლინზები, განაგრძეთ თვალების გამობანა. კანთან კონტაქტისას: ჩამოიბანეთ უხვი წყლით. შენახვის პირობები: შეინახეთ კარგად ვენტილირებად სათავსოში, მჭიდროდ თავდახურულ მდგომარეობაში. შეიცავს ალიფატურ პოლიიზოციანატს (IPDI), ქსილოლს, 3-იზოციანატომეთილ-3,5,5-ტრიმეთილციკლოჰექსილიზოციანატს, იზოციანატს. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (A/j): 500 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 500 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
Giscode	PU50 (Germany)
შემადგენლობა	პოლიმერული აკრილის ფისი,ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, გლიკოლი, გლიკოლეთერი, ადიტივები, კონსერვანტები (მეთილ-/ბენზიზოთიაზოლინონი).
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. **შპს კაპაროლ ჯორჯია** ალ. ქართველიშვილის ქ. N8 0198 თბილისი საქართველო office@caparol.ge www.caparol.ge